

საშუალო სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოთა  
ენობრივი ღახასიათება

ენის სიწმინდის დაცვა დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. მისი განხორციელებისათვის აუცილებელია სწორი მეტყველებისა და წერის ჩვევების გამომუშავება ადრეული ასაკიდანვე. გამართული, დახვეწილი მეტყველებისა და წერის დაუფლებისათვის სასკოლო ასაკის ბავშვებზე უდიდეს გავლენას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახსა და სკოლაში შექმნილი ენობრივი გარემო, საგნის მასწავლებელთა მეტყველების კულტურა და ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც სწავლობენ სკოლაში ათი წლის მანძილზე. ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო სახელმძღვანელოების ენობრივ მხარეს, მის დახვეწასა და სრულყოფას. ამასთან, გამართული, სხარტი და ემოციური ენით მოწოდებული სასწავლო მასალა მოზარდისათვის უფრო ადვილი ასათვისებელი და დასამახსოვრებელია, ვიდრე მძიმე, მცდარი ენობრივი ფორმებითა თუ შეხამებებით წარმოდგენილი მასალა. მაგრამ სადავო არაა, რომ ჯერჯერობით ყველა ქართული სახელმძღვანელოს ენა ამ მხრივ ერთ დონეზე არ დგას.

ჩვენ შევისწავლეთ დღევანდელი ქართული საშუალო სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ენობრივი თვალსაზრისით.

გეოგრაფიას სწავლობენ V—IX კლასებში.

V კლასში ისწავლება „ფიზიკური გეოგრაფია“. სახელმძღვანელოს ავტორია ნ. ა. მაქსიმოვი, მთარგმნელი — ი. კოროშინაძე, რედაქტორი — დ. სალუქვაძე.

VI კლასი სწავლობს „კონტინენტების გეოგრაფიას“. სახელმძღვანელოს ავტორები არიან: ვ. ა. კორინსკაია, ლ. დ. პროზოროვი, პ. ნ. სჩასტნევი, მთარგმნელები — ი. აფხაზავა, თ. კიკილაშვილი, რედაქტორი — დ. სალუქვაძე.

VII კლასს ორი სახელმძღვანელო აქვს: 1) „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია“, ავტორი — ალ. ჯავახიშვილი, რედაქტორი — დ. სალუქვაძე და 2) „სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფია“, რომელსაც ოთხი ავტორი ჰყავს: ა. ი. სოლოვიოვი, ნ. ე. დიკი, გ. ვ. კარბოვი, ი. ს. მატ-

რუსოვი. სახელმძღვანელო თარგმნეს: ი. აფხაზავამ. ვ. გვახარია და დ. სალუქვაძემ; საზოგადოებრივი რედაქტორია ი. აფხაზავა.

VIII კლასშიც გეოგრაფია ორი სახელმძღვანელოთი ისწავლება. ერთია „საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფია“, ავტორი — ლ. კარბელაშვილი, რედაქტორი — თ. კობერიძე, ხოლო მეორე — „სსრ კავშირის ეკონომიკური გეოგრაფია“, ავტორები — კ. ფ. სტროვევი, ა. ა. ივანტერი, მ. კ. კოვალევსკაია და ვ. ი. რომი. მთარგმნელია ა. თორღია, რედაქტორი — დ. სალუქვაძე.

IX კლასი სწავლობს ა. გ. არტემიევას ვ. პ. მაქსაკოვსკის, ს. ნ. რაკოვსკის, ი. ნ. სმიდოვიჩისა და მ. გ. სოლოვიოვას მიერ შედგენილ „სახლვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ გეოგრაფიას“, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მდიწვევთა გამოფენის უმაღლესი ჯილდო — საპატიო დიპლომი. წიგნი ქართულად თარგმნეს ა. ნათიშვილმა, დ. სალუქვაძემ და ჯ. ჩიქოვანმა, რედაქტორია დ. სალუქვაძე.

ამგვარად, ქართულ საშუალო სკოლებში გეოგრაფია ისწავლება შვიდი წიგნით. მათგან მხოლოდ ორია ქართულად შედგენილი, დანარჩენი ხუთი კი ნათარგმნია.

აღნიშნულ სახელმძღვანელოთა ენობრივ მხარეზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მათი ავტორები, შემდგენლები, მთარგმნელები და საერთოდ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები ძირითადად გულისყურით მოჰკიდებიან საქმეს. ამიტომ ამ წიგნებში მასალის დიდი ნაწილი მოსაწონი და ასაკისათვის შესაფერისი ქართულით იკითხება. მაგრამ ეს სახელმძღვანელოები ენობრივი თვალსაზრისით მაინც ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. გაცილებით გამართულია ორიგინალური სახელმძღვანელოების ენა, ვიდრე ნათარგმნისა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოთა ენობრივ მხარეს ჩვენ ვაკვირდებით 1975—79 წლებში.

უკანასკნელ ხანს ნაწილობრივ გამოსწორდა ამ სახელმძღვანელოთა ენა, მაგრამ ბევრი რამ ისევ მოსაწესრიგებელია ან ზოგი ხარვეზი ერთგან გამოსწორდა და სხვაგან დარჩა. გაჩნდა ახალი ენობრივი შეცდომებიც. ქვემოთ ჩვენ ისეთ დარღვევებზე მივუთითებთ, რომლებიც ჯერ კიდევ ტიპობრივია ქართული სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახელმძღვანელოებში მეტისმეტად ბევრია პუნქტუაციური შეცდომები. საფიქრებელია, რომ მათი უმეტესობა კორექტურული წარმოშობისაა, მაგრამ იმის გამო, რომ ყოველთვის ადვილად საგრძნობი არ არის შეცდომის კორექტურული ხასიათი, ამ შეცდომათა შემცველი წინადადებები ხშირად ბუნდოვან,

ზოგჯერ კი საერთოდ გაუგებარ აზრს გამოხატავს. სანიმუშოდ ორიოდ შემთხვევას დავიმოწმებთ:

ოკეანის კალაპოტს... ზოგიერთ ადგილას აქვს ვაკე უბნები, სხვაგან აწეული ნაწილები... (V, 79)<sup>1</sup>.

უნდა იყოს: ... სხვაგან — აწეული ნაწილები...

ეს ნახაზები მართალია მეტად პრიმიტიული გეოგრაფიული რუკები იყო (V, 5).

იმის გამო, რომ წინადადებას სასვენი ნიშნები აკლია, მოსწავლისათვის გაუგებარი რჩება, რა იყო მეტად პრიმიტიული — ნახაზები თუ რუკები?

ბუნებრივი გაზი ყველაზე ხელსაყრელი, იაფი საწვავისა და ქიმიური მრეწველობისათვის ნედლეულის უძვირფასესი წყაროა (VII<sup>2</sup>, 130).

რაა იაფი — გაზი თუ საწვავი?

ამგვარი შემთხვევები მეტ-ნაკლებად ყველა წიგნშია. ბევრია აგრეთვე აშკარა კორექტურული შეცდომები. მათგანაც ზოგი თუ შედარებით უწყინარია (მაგ., აქვ, ყოლია, ბრძანებლობს და მისთ.), ზოგი ორაზროვნებას ან შეცდომას იწვევს. მაგ.:

უკრაინის სსრ სამხრეთ ნახევრის წილი შეიცავს... ცარცისა და ცეცხლგამძლე თიხების თითქმის აშოშუტ რაჲ მარაგს (VIII<sup>2</sup>, 232).

ცხადია, უნდა იყოს ამოუწურავ მარაგს.

დასაზუსტებელია ზოგი ტერმინის მართლწერა. ვთქვათ, **კარბმოსახლეობა** ერთად უნდა ვწეროთ თუ ცალ-ცალკე? შდრ.:

ემუქრება თუ არა კაცობრიობას დალუპვა კარბმოსახლეობისაგან? (V, 163).

ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი კაცობრიობას დალუპვას უწინასწარმეტყველებს კარბმოსახლეობისაგან (იქვე).

ასევე არ ჩანს, რომელია სწორი: **ორბიტი** თუ **ორბიტა**? შდრ.:

რას ეწოდება დედამიწის ორბიტი? (V, 143).

დედამიწა თავის გზას ორბიტაზე მზის გარშემო გადის 365 დღის... განმავლობაში (იქვე).

---

<sup>1</sup> პირველი ციფრი აღნიშნავს კლასის რიგს, მეორე — წიგნის გვერდს. ზევით პატარა ციფრით აღნიშნულია მე-7 ან მე-8 კლასის ნათარგმნი სახელმძღვანელოები. მასალა ამოწერილია შემდეგი გამოცემებიდან: ფიზიკური გეოგრაფია — 1976 წ.; კონტინენტების გეოგრაფია — 1976 წ.; საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია — 1975 წ.; სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფია 1974 წ.; საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფია — 1976 წ.; სსრ კავშირის ეკონომიკური გეოგრაფია — 1977 წ.; საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია — 1976 წ.

წიგნებში გატარებული პრინციპის მიხედვით ტერმინები დაყოფით უნდა იყოს წარმოდგენილი. ეს პრინციპიც ზოგჯერ ირღვევა. მაგ.:

აქ ჩამოტანილ ნამტვრევ მასალას ბოლო მორენა ეწოდება (V, 116).

**ბოლო მორენა** უნდა დასტამბულიყო დაყოფით.

სახელმძღვანელოებში ზოგჯერ დარღვეულია სიტყვის (სიტყვათა) დაწერილობის ორთოგრაფიული ნორმა. უნდა ეწეროს ერთად და ცალ-ცალკეა რთული სიტყვები **ურთიერთმდებარეობა** და **არარსებობა**:

ტოპოგრაფიული რუკების ნომენკლატურა საშუალებას გვაძლევს ადვილად განვსაზღვროთ მათი გეოგრაფიული და ურთიერთ მდებარეობა (VII<sup>2</sup>, 30).

მეთურნეობის სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელია... უმუშევრობის არარსებობა (IX, 62).

ხოლო სხვაგან უმართებულოდაა შერწყმული ორი სიტყვა:

...ახალი დაძირვა იწყება, რასაც თანსდევს ძლიერი წყალქვეშა ვულკანიზმი (VII, 19).

მთების აღნიშნული სისტემა გარსარტყია დედამიწას (VII, 20).

ხაზგასმულ სიტყვებში უნდა გაითიშოს ზმნები თანმხლები ზმნისართებისაგან.

ზოგჯერ სხვა მიზეზებითაც ირღვევა სიტყვის მართლწერა: სწორად არაა შერჩეული ბრუნვის ფორმა, გათვალისწინებული არ ჩანს ფუძე-უკვეცელ სახელთა ბრუნების თავისებურება, არასწორადაა ნახმარი მრავლობითი რიცხვის ნიშანი, თემის ნიშანი, ზმნისწინი, უსაფუძვლოდაა უგულვებელყოფილი პირის ნიშანი და მისთ. მართალია, ამ რიგის ხარვეზები სისტემური არ არის, მაგრამ სახელმძღვანელოების ენაში საკმაოდ შესამჩნევია. მაგალითად:

...მიიღეთ ზოგადი წარმოდგენა დედამიწისა და მის ზედაპირზე მიმდინარე ბუნებრივი მოვლენების შესახებ (V, 3).

ტროპიკული ჰაერის მასებს აქვთ მაღალი ტემპერატურები (VII<sup>2</sup>, 75).

ივლისის საშუალო ტემპერატურებია 23—26° (VII<sup>2</sup>, 172).

...როცა შუამდინარეთს გადააკვეთავ, შთაბეჭდილება გრჩება, რომ ვაკეზე იმყოფები (VII<sup>2</sup>, 215).

...იწვევს მუშახელის ნაწილის გამოთავისუფლებას (IX, 25).

...ინდიელებმა... იცოდნენ ლითონის დამუშავება, ქვისაგან დიდი სახლების აშენება, ქონდათ საკუთარი დამწერლობა (VII, 169).

...ჯოგებს მხოლოდ მწყემსები მიყვებიან (VII, 228).

სწორი ფორმები იქნება: **დედამიწასა, ტემპერატურა, ტემპერატურაა, გადაკვეთ, გამოთავისუფლებას, ჰქონდათ, მიჰყვებიან.**

მორფოლოგიური ხასიათის უზუსტობები გეოგრაფიის სახელმძღვა-  
ნელოებში ხშირი არ არის, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც ყველგან შეიმჩ-  
ნევა. ამგვარ უზუსტობათაგან აღსანიშნავია ემფატიკური ხმოვნის უგუ-  
ლებელყოფა აუცილებელი საჭიროების დროს. მაგალითად:

ბრაზილის მთიანეთში აღმოჩენილია წილისეულის უდიდესი ბუდობები — რკი-  
ნის, მანგანუმის, ალუმინისა და ურანის მადნების, ოქროს, ალმასის  
(V, 145).

ზოგიერთ რაიონში მათ არა აქვთ უფლება დიდ ქალაქებში არა მარტო ცხოვრე-  
ნის, არამედ მათთან ახლოს მისვლისაც კი (V, 94).

[ამერიკის უძველეს ბაქანზე] მდებარეობს ვრცელი დაბლობები "(ამაზონის,  
ორინოკოს და ლაპლატის)" და მთიანეთები (ბრაზილიის, გვიანის  
(V, 141).

მოყვანილ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები რომ მავრცობ ა-ს  
(**რკინისა, მანგანუმისა, მადნებისა, ალმასისა, ცხოვრებისა, ამაზონისა,  
ლაპლატისა, ბრაზილიისა, გვიანისა**) ან ი-ს (**ოქროსი, ორინოკოსი**) დაირ-  
თავდნენ, ეს წინადადებები უფრო ბუნებრივად წაიკითხებოდა.

ამ რიგის დარღვევები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მეშვიდე  
კლასის ნათარგმნ სახელმძღვანელოში. მაგალითად:

ნაღქების წლიური რაოდენობა დაახლოებით ტოლია აორთქლების ანდა ოდ-  
ნავ ნაკლებია მასზე (85).

აქ სამეფოა დრმა და ვიწრო ხეობების, კლდოვანი ქედების, რომლებიც ჰო-  
რიზონტს ფარავენ (273).

აქ სამეფოა ნაძვისა და სოჭის, უღრანი ტაივისა და ფიჭვნარის, რომელიც  
ძლიერ გაჩეხილია მხოლოდ სამხრეთში (152).

მოყვანილი წინადადებების გასამართავად საჭიროა, რომ ხაზგასმული  
არსებითი სახელები განივრცოს ემფატიკური ა ხმოვნით: **აორთქლებისა,  
ხეობებისა, ქედებისა, სოჭისა, ფიჭვნარისა.**

ზოგჯერ წინადადებით ნავულისხმევი სრულიად მარტივი აზრის გა-  
გებას ხელს უშლის ის, რომ მას აკლია ამ შემთხვევაში აუცილებელი  
სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ო. ნიმუში**:

თავიანთ შთამომავლებს პინგვინები მკაცრ ზამთარში ჩევენ. ისინი ბუდეს კი არ  
იკეთებენ, კვერცხები თათებით მუცლის თბილ ბუმბულზე აქვთ მიჭერილი. ტყუილად  
კი არ ამბობენ, იმპერატორის პინგვინები ბარტყებს ჩევენ დამდგარი და არა დამჯდარ  
რი (VI, 117).

უნდა იყოს: **დამჯდარიო.**

აღნიშნულ სახელმძღვანელოებში გვხვდება ენობრივი დარღვევები  
მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას. დარღვევები სხვადასხვა სახისაა,  
უმეტესად კი მათ მაშინ აქვთ ადგილი, როდესაც მსაზღვრელად ჩვენებითი

ნაცვალსახელია — გათვალისწინებული არ არის ამ ნაცვალსახელთა ორფუძიანობა და ირიბ ბრუნვებშიც იგი სახელობითის ფუძითაა წარმოდგენილი:

რომელი ზღვა მდებარეობს მოსკოვის ჩრდილოეთით 1000 კმ. დაშორებით? მოსკოვიდან სამხრეთით იგივე მანძილზე? (V, 13).

ერთსა და იგივე გეოგრაფიულ განედზე ნიადაგი მდლობებზე და დაბლობებში სხვადასხვანაირია (VII<sup>2</sup>, 110).

იგივე ტერიტორიის ფოტოსურათი, გადაღებული კოსმოსური ხომალდიდან (V, 135).

შედარებითად დაახლოებით ერთი და იგივე ქვეყნის ორი ნაწილი (IX, 171).

სწორი შეხამებები იქნებოდა: იმავე მანძილზე; ერთსა და იმავე გეოგრაფიულ განედზე; იმავე ტერიტორიის; ერთისა და იმავე ქვეყნის და მისთ.

ზოგჯერ წიგნებში დაცული არ არის თანხმოდანფუძიან მსაზღვრელ სახელთა ბრუნების თავისებურებანი და ამის შედეგია ისეთი შეუსაბამობანი, როგორიც ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებში გვაქვს:

დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვის ნადირთა სარეწებს... რომლის გროვა რამდენიმე მილიონ სულს ითვლის (VII<sup>2</sup>, 56).

მყინვარულ საზრდოობის მდინარეებს წყლის ყველაზე დიდი ხარჯი აქვთ ზაფხულის სიცხეების დროს (VII<sup>2</sup>, 96).

მეფის მთავრობა ადგილობრივ ნედლეულის მხოლოდ მცირე ნაწილს ამუშავებდა (VIII, 5).

გადიდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე გაწეული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა (VIII, 8).

...განსაზღვრეთ, როგორ ნაწილდება 10°C-ზე მაღალი ტემპერატურათა ჯამი სსრკ-ს ტერიტორიაზე (VIII<sup>2</sup>, 85).

უნდა იყოს: მილიონ სულს; მყინვარული საზრდოობის; ადგილობრივი ნედლეულის; გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა; მაღალ ტემპერატურათა და მისთ.

მსაზღვრელ-საზღვრულიან სინტაგმაში ზოგჯერ ირდევია კუთვნილებითი ნაცვალსახელის რიცხვში შეწყობის წესიც. გვაქვს:

შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებისას ისინი თავის თანამემამულეებს მოუთხოვრბდნენ სხვა ქვეყნების ბუნებასა და ხალხებზე (V, 3).

კალინინის... მცხოვრებლებმა თავისი თანამემამულის ხსოვნის უკვდავსაყოფად დადგეს მონუმენტი (V, 7).

უნდა იყოს: ისინი თავიანთ თანამემამულეებს... მცხოვრებლებმა თავიანთი თანამემამულის...

გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში, საგნის სპეციფიკის შესაბამისად, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მსაზღვრელად -ეთ სუფიქსიან მხარის აღმნიშვნელ სახელთა როგორც მარტივი (აღმოსავლეთი, დასავლეთი,

**ჩრდილოეთი, სამხრეთი)**, ისე შედგენილი (**ჩრდილო-აღმოსავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი** და მისთ). ვარიანტები.

თანამედროვე ქართულში ამგვარი სახელები მსაზღვრელად უმეტესად გეოგრაფიულ სახელებთან გამოიყენება (**აღმოსავლეთი ბერლინი, დასავლეთმა საქართველომ, სამხრეთ აფრიკას...**) და ბრუნებისას, როგორც წესი, ბრუნვის ნიშანს მხოლოდ სახელობით, მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებში დაირთავს, სხვა ბრუნვებში კი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

მაგრამ ამ ტიპის მსაზღვრელი შეიძლება ახლდეს არაგეოგრაფიულ სახელსაც (**ჩრდილოეთი ფერდობი, სამხრეთი კალთა, აღმოსავლეთი ნაპირი** და მისთ.). ამგვარ შემთხვევებში -**ეთ** სუფიქსიანი სახელები იბრუნვიან, როგორც ჩვეულებრივი თანხმოვანფუძიანი ზედსართავები. ასეთია წესი.

აღნიშნულ სახელმძღვანელოებში ეს წესი, ძირითადად, გატარებულია და უმეტესად სწორი შეხამებები გვაქვს, მაგრამ დარღვევები და შეუსაბამობანი აქაც გვხვდება. კერძოდ, ზოგჯერ გეოგრაფიული სახელების -**ეთ** სუფიქსიან მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი უნდა ჰქონდეს და არა აქვს:

**ჩ რ დ ი ლ ო ე თ ა ფ რ ი კ ა** გადაჭიმულია ხმელთაშუა ზღვიდან საპარის უღაბნოს სამხრეთ საზღვრებამდე (VI, 65).

ან არ უნდა ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი და აქვს:

რომელი ზღვები და სრუტეები გამოყოფენ მას აფრიკისაგან, რომლები — **ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ა მ ე რ ი კ ი ს ა გ ა ნ ?** (VI, 190).

უფრო ხშირად ირღვევა ბრუნების ზემოაღნიშნული წესი, როცა -**ეთ** სუფიქსიანი სახელი მსაზღვრელად ახლავს საზოგადო სახელს (**რაიონი, ნაწილი, ფერდობი, კალთა, ნაპირი, სანაპირო** და მისთ.). მოვიყვანთ მაგალითებს:

საქართველოს სამხრეთ მთიანეთი თავისი... ბოლოებით მათაშორის ბარს ემიჯნება (VII, 111).

კასპის ზღვის აუზს ეკუთვნიან კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობის მდინარეებიც (VII, 59).

მის საფუძველს, აღმოსავლეთ ნაწილის გამოკლებით, წარმოადგენს უძველესი კრისტალური საძირკველი (VI, 83).

ვერობელებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილების შესახებ (VI, 154).

ამ კონტულოვანი ზოლის აღმოსავლეთ ნაპირების გასწვრივ გადაჭიმულია... დიდი ოკეანური ღრმულები (VI, 194).

აპალაჩების აღმოსავლეთ კალთების მდინარეები მოკლე და წყალუბგია (VI, 163).

ნავიგაცია ჩრდილოეთ სანაპიროების გასწვრივ გრძელდება ერთიდან ოთხ თვემდე (VII<sup>2</sup>, 58).

შეადარეთ კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთების რელიეფის აგებულება (VII<sup>2</sup>, 179).

ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების მნიშვნელოვანი რესურსები ჯერ კიდევ არ არის ათვისებული (VIII<sup>2</sup>, 14).

შედარებითად დაახლოებით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილების მეურნეობა. (IX, 124).

მოგვეცით ჩინეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება (IX, 136).

კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთიდან ჩამოედინება არაგვი, ლიახვი, ქსანი და სხვ. (VII, 59).

იმ მდინარებიდან, რომლებიც... საქართველოს სამხრეთ მთიანეთიდან ჩამოედინებიან, უმნიშვნელოვანესია ხრამი (VII, 59).

**უნდა გვეჩვენოს: სამხრეთი მთიანეთი, ჩრდილოეთი ფერდობის, აღმოსავლეთი ნაწილის, სამხრეთი კალთიდან და მისთ.**

სახელმძღვანელოთა ენას აშკარად ეტყობა, რომ მათს შემდგენლებსა და რედაქტორებს უზრუნიათ წინადადების წვერთა შორის რიცხვში შეთანხმების საკითხების მოგვარებისათვის, მაგრამ ზოგი ხარვეზი ამ მხრივ აღნიშნულ წიგნებს მაინც აქვს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცელებული წესის მიხედვით, სულიერი სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს ზმნა ყოველთვის ეთანხმება მრავლობით რიცხვში. სახელმძღვანელოებში ეს წესი, ძირითადად, გატარებულია, მაგრამ შეინიშნება დარღვევებიც:

პირველ გეოგრაფებად შეიძლება ჩაითვალოს მოგზაურები და ზღვაოსნები (V, 3).

ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის კუნძულების სახელმწიფოებში ფაქტურად ბატონ-პატრონია აშშ-ის კაპიტალისტები (VI, 171).

ინდიელები კონტინენტის მთელი მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს შეადგენს (VI, 140).

სტუმბები გადახნულია, მაგრამ დღემდე არის ყამირის უბნები, სადაც ცხენის ჯოგები ძოვს (VII<sup>2</sup>, 191).

უკანასკნელ წინადადებაში შეცდომის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ქვემდებარედ კრებითი სახელია, მაგრამ ის მრავლობით რიცხვშია (სხვადასხვა ჯოგია ნავარაუდევო) და შემასმენელი მას მრავლობითში უნდა შეეწყოს. უნდა იყოს ჯოგები ძოვენ. წინა წინადადებებში კი სწორი შესიტყვებები იქნებოდა: **შეიძლება ჩაითვალოს მოგზაურები..., ბატონ-პატრონი (ან ბატონ-პატრონები) არიან კაპიტალისტები; ინდიელები შეადგენენ.**

განსაკუთრებით უხერხულ შესიტყვებას ქმნის შემასმენლის შეუთანხმებლობა ნარ-თანთან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან. ამ შემ-



თხვევაში, როგორც ცნობილია, მნიშვნელობა არა აქვს — ქვემდებარე სულიერი საგანია თუ უსულო, შეთანხმება უნდა იყოს.

აღნიშნულ წიგნებში ამგვარი დარღვევებიც გვაქვს:

ქალაქებში ისინი ვალდებულნი მათთვის განკუთვნილ რაიონებში იცხოვრონ (VI, 78).

მოქცევები არსად არ აღემატება 3 მ. ვლადივოსტოკთან ისინი დონეს მაღლა სწევს 0,5 მ-ით (VII<sup>2</sup>, 62).

როგორ ბუნებრივ პირობებში წარმოიშობა ნახევარუდაბნოები და უდაბნოები. რა არის მათი თავიებურება და სად არის ისინი განლაგებულნი? (VII<sup>2</sup>, 128).

ახალი მიწის მთებიდან ზღვაზე ხშირად ქრის გრივალისებრი ქარები. ზამთარში ისინი ქრის რამდენიმე დღე-ღამე... და ამ სხვრევეს ყინულს (VII<sup>2</sup>, 56).

ალაგ-ალაგ მათ გაუქრია ვიწრო ხეხები მაღალი შვეული ნაპირებით (VII<sup>2</sup>, 211).

უნდა იყოს: ისინი ვალდებულნი არიან, ისინი სწვევენ, სად არიან ისინი განლაგებულნი, ისინი ქრიათ და ამსხვრევენ, მათ გაუქრიათ.

რაც შეეხება უსულო სახელით გამოხატულ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში ურთიერთობას, სახელმძღვანელოების ენა ერთგვარობას ვერ იცავს: ხან ტრადიციისამებრ არ უთანხმდება ეს წევრები ერთმანეთს (გვაქვს: შენაკადები ჩამოედინება, მდინარეები საზრდოობს, ქარხნები მიისწრაფის...), ხან კი, ალბათ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უკანასკნელ ხანს გაჩენილი ტენდენციის გავლენით, შეთანხმება გვაქვს (გვალვები ზიანს აყენებენ, მდინარეები კვეთენ მაგალითები გვიჩვენებენ...). ცხადია, ამგვარი სიჭრელე ზიანს აყენებს სახელმძღვანელოების ენას.

წინადადების წევრებს შორის რიცხვში შეთანხმება ირღვევა სხვა შემთხვევებშიც:

ა) როცა ქვემდებარეს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი:

სხვადასხვა ნადირი ტყის პირობებს კარგად არიან შეგუებული (VI, 134).

კონტინენტის სხვადასხვა ნაწილი ოკეანის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობენ (V, 24).

ორივე ქვეყანა ურბანიზაციის ძალიან მაღალი დონით გამოირჩევიან (IX, 266).

ბ) როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვა არ უთანხმდება რიცხვში მთავარი წინადადების ასახსნელ წევრს:

იქ, სადაც ზამთარი უფრო თბილია, არის კარგი საზამთრო საძოვრები, რომელიც შავი მიწების სახელითაა ცნობილი (VII<sup>2</sup>, 157).

...პაეის ჩამოყალიბების კანონზომიერებები, რომელიც დამოკიდებულია ...პაერის მასების მოძრაობაზე... ირღვევა (VII<sup>2</sup>, 90).

მის ზედა საზღვარს წარმოშობს... ჯმუხი: არყის გამეჩხერებული ტყეები, რომელიც იზრდება... (VII<sup>2</sup>, 191).

რევოლუციის წინ რუსეთის რკინიგზის ქსელი შედგებოდა გზებისაგან, რომელიც რადიალურად გადიოდა მოსკოვიდან (VII<sup>2</sup>, 102).

...ასეთ ქარხნებს ვანალაგებენ ნახშირის დაკოქსვის ადგილებში, რომელიც... დაკავშირებულია... ბაზებთან (VIII<sup>2</sup>, 68).

ამ მადნების საბადოები, რომლის შემადგენლობაში შედის ტყვია, არის ალტაიში (VIII<sup>2</sup>, 289).

გ) როცა შერწყმულ წინადადებაში ერთ ქვემდებარესთან დაკავშირებული შემასმენლები სხვადასხვა რიცხვშია წარმოდგენილი:

ამიტომ სხივები უფრო განიბნევიან ატმოსფეროში, ნაკლებად ათბობს ზმელეთსა და ზღვას (V, 148).

...მიდინარეები კვეთენ მოსაზღვრე ქედებს, იცვლიან მიმართულებას და თითქმის ერთიმეორის პარალელურად მიედინება შავი ზღვისაკენ (VII, 104).

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები... ერთი მხრივ დიდად დაკავშირებულია შუა ევროპის უდიდესი სახელმწიფოების... მეურნეობასთან, ხოლო მეორე მხრივ... მის წრაფვიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადისაკენ (IX, 258).

შუა ევროპის სახელმწიფოები... იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მდებარეობენ და მჭიდროდ დაკავშირებულია მათთან... (IX, 258).

დამოწმებულ წინადადებათა ენობრივად გასამართავად საჭიროა პირველი რიგის შემთხვევებში შემასმენელი მხოლოობითში დაესვათ (სხვადასხვა ნაღობი... კარგად არის შეგუებული, ორივე ქვეყანა... გამოირჩევა...), მეორეგან საკავშირებელი სიტყვა რომელიც რიცხვში შევეუთანხმით ასახსნელ წევრს (...სამოვრები, რომლებიც..., ...ადგილებში, რომლებიც..., ...საბადოები, რომელთა...), ხოლო მესამე ტიპის შემთხვევები დავიცვათ ერთგვარობა (სხივები განიბნევა, ათბობს ან განიბნევიან, ათბობენ; მდინარეები კვეთს, იცვლის, მიედინება ან კვეთენ, იცვლიან, მიედინებიან და მისთ.).

განსახილველ სახელმძღვანელოთა ენას ზოგჯერ ვნებს ის, რომ სათანადოდ არ არის შერჩეული კონტექსტისათვის შესაფერი სიტყვა. მაგალითად:

ისმის მენის დაცემის გამაყრუებელი ხმა და მოდის ძლიერი თავსხმური წვიმა, რომელიც სწრაფად გაივლის (VI, 142).

ალბათ ამ კონტექსტს უფრო შეეფერებოდა **კოცისპირული**. თანამედროვე ქართულში ორივე ეს სიტყვა იხმარება, ოღონდ სხვადასხვა შესიტყვებაში. ბუნებრივი ჩანს ამ სახელთა ამგვარი მოხმარება: **კოცისპირული წვიმა მოდის, მაგრამ: თავსხმა**.

ქართულისათვის არაბუნებრივი ჟღერადობა აქვს და ამიტომ სადავოდ გვეჩვენება სიტყვა **დასარველიანებულის** სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანის მართებულობა:

მცირე ფართობის გამო საძოვარი გადატვირთულია, ხოლო მაღალბალახეულობა და სარეგლიანებულობა (VII, 129).

აღბათ ქართველი ბავშვი უფრო ბუნებრივად მიიჩნევდა:

...მაღალბალახეულობაში **ჭარბობს სარეველა ან ბევრია სარეველა.**

მდინარეების მიერ მოტანილი ყველა მინერალური ნივთიერება გროვდება გაუდინარ წყალსატევებში და დროთა განმავლობაში წყალი აქ მლაშე ან მწარე-მლაშე ხდება (VII<sup>2</sup>, 105).

**მწარე-მლაშე** ქართულისათვის ბუნებრივი კომპოზიტი არ არის. აქ უნდა ეხმარათ ან **მწარე და მლაშე** ან **მომწარო-მომლაშო.**

ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა ათიათასობით მაღალკვალიფიციური ინჟინერი, აგრონომი, ეკონომისტი, პედაგოგი, ექიმი და სხვა სპეციალობის კადრი (VIII, 12).

**აღიზარდა კადრი** მცდარი შესიტყვებაა. აჯობებდა: **აღიზარდა... სპეციალისტი, აღიზარდა... სპეციალობის ადამიანი.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ... დაიწყეს მდინარეთა რეკონსტრუქცია. **რგავდნენ ტყეებს...** (IX, 135).

ხაზგასმული შესიტყვებაც უჩვეულოა ქართულისათვის. ბუნებრივი სინტაგმები იქნებოდა: **რგავდნენ ხეებს, აშენებდნენ ტყეებს ან გააშენეს ტყეები.**

მარჯვედ ვერ არის შერჩეული სიტყვა სხვა შემთხვევებშიც:

სეისმურ სადგურებში მეცნიერები იკვლევენ ბუნების ამ მრისხანე მოვლენებს, **ეძებენ** მათი წინასწარმეტყველების გზებს (V, 56).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწისქვეშა განძს **მფლანგველურად** მოვეპყრათ (V, 71).

**ახლახანამდე** შეიმჩნეოდა მოპოვებული წიაღისეულიდან სასარგებლო ნივთიერებათა არასრული მიღების შემთხვევები (V, 71).

დანაოპება და ვულკანში მეტწილად ერთდროულად მიმდინარეობდა, **მხოლოდ ხანერთი მოვლენა** იმარჯვებდა და ხან მეორე (VII, 17).

აღბათ, აჯობებდა ყოფილიყო: **წინასწარგამოცნობის გზებს; უყაირათოდ მოვეპყრათ ან დაუდევრად გავფლანგოთ; უკანასკნელ ხანამდე ან ბოლო დრომდე; ოღონდ ხან ერთი მოვლენა...**

სიტყვების არაზუსტად შერჩევის გამო გაუმართავ წინადადებათა ერთ ნაწილში თუ მთლად გამჭვირვალე არ არის შეცდომის წყარო, სხვაგან სრულიად აშკარაა, რომ გაუმართავ ან ზოგჯერ სრულიად გაუგებარ ფრაზას იწვევს ცუდი თარგმანი და უხეირო კალკები. ამ რიგის შემთხვევები წიგნებში უფრო ხშირია. მაგალითები:

თავისი სამშობლოს გეოგრაფიის ცოდნის გარეშე ჩვენს დროში შეუძლებელია იყო კულტურული... ადამიანი (VII<sup>2</sup>, 275).

განსაზღვრეთ თქვენი სკოლიდან რომელი მიმართულებით მდებარეობს ფოსტა, მა-  
ლაზია, კლუბი ან სხვა ხილული შენობები (V, 17).

როგორ სამ მდგომარეობაშია წყალი? (V, 114).

როგორ ბუნებრივ პირობებში წარმოიშობა ნახევარუდაბნოები...?  
(VII<sup>2</sup>, 128).

მოსახლეობის რაოდენობაზე... დამოკიდებულებით მრავალმა ხალხმა  
მიიღო ვრონული დამოუკიდებლობა (VII<sup>2</sup>, 16).

ქარს ქვიშა აქვს დამრეცი კალთიდან და გადააქვს ციცაბო კალთაზე და ასე  
დღითი დღე (V, 70).

მეცნიერებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ერთი და იმავე მნიშვნელობით  
უპასუხონ კითხვაზე... (V, 171).

ამის გამო ზღვის მნიშვნელოვანი ნაწილი სიცოცხლეს მოკლებულია  
(VII, 45).

ისინი მცენარეულობას თითქმის მოკლებულია (VII<sup>2</sup>, 267).

ვაკის სამხრეთი სტეპური სივრცეები არასაკმარისი დანესტიანების პი-  
რობებშია (VII<sup>2</sup>, 197).

ტაოგაში სკარბობს სითბოს არამომთხოვნი წიწვიანი ტყეები (VII<sup>2</sup>, 121).

ამ დარგში დასაქმებულთა ხედვრიტი წონის ყველაზე უფრო შემცირება  
შემიჩნევა... კაპიტალისტურ ქვეყნებში (IX, 26).

...ყველაზე უფრო საერთო ძვრა მდგომარეობს მრეწველობის ხედვრი-  
თი წონის შემდგომ გადიდებაში (IX, 35).

...მაგრამ რაგინდ დიდ იყოს ტერიტორია..., ჩვენი ქვეყნის ძლიერებას  
უზრუნველყოფს... სახალხო მეურნეობა (VIII<sup>2</sup>, 5).

მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს... რესურსები, საჭიროა ჩვენ მაინც ძალიან  
ფრთხილად მოექცეთ მათ (VIII<sup>2</sup>, 12).

მინსკი გახდა რა ბელორუსიის დედაქალაქი, დიდი სამამულო  
ომის დასაწყისში იგი უკვე მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა (VIII<sup>2</sup>,  
260).

ექირა რა ზღვისპირა ხელსაყრელი მდებარეობა, იგი რუსე-  
თის სავარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (VIII<sup>2</sup>, 261).

წარმოიშენენ რა, როგორც შრომის გეოგრაფიული დანაწილების შედეგი,  
ეკონომიური რაიონები... ვითარდებიან... გვემის მიხედვით (VIII<sup>2</sup>, 122) და  
ა. შ.

დამოწმებული წინადადებების გასაქართულებლად საკმარისი არ არის  
მხოლოდ ლექსიკური თუ სინტაქსური კალკების მოხსნა. საჭიროა იქნება  
მთლიანად ამ წინადადებათა სხვაგვარად გამართვა.

სახელმძღვანელოებში ხშირად ბუნდოვანი და ძნელად აღსაქმელი  
ჩანს წინადადებით ნაგულისხმევი აზრი იმის გამო, რომ მასში არ არის  
დაცული ქართულისათვის ბუნებრივი სიტყვათა რიგი. ამ სახის დარ-  
ღვევები, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით ბევრია ნათარგმნ  
სახელმძღვანელოებში. მაგალითები:

ფიჭვნარებთან თავისი განათებულობითა და ნიადაგისადმი არამომთხოვნი-  
ლობით ახლოს დგას ლარიქსის ტყეები (VII<sup>2</sup>, 121).

უნდა ყოფილიყო: ...ფიჭვნარებთან ახლოს დგას...

ფინეთისა და ბოტნიის უბეების ნაპირებს გარს არტყია შხერები — მრავალრიცხოვანი კლდე-კუნძულები ზოგჯერ დაფარული წყალქვეშ (VII<sup>2</sup>, 63).

**უნდა იყოს: ...გარს არტყია ზოგჯერ წყალქვეშ დაფარული მრავალრიცხოვანი კლდე-კუნძულები — შხერები.**

ჩამოთვლილ ოთხ ქვეყანაში ცხოვრობს დაახლოებით დასავლეთ ევროპის მოსახლეობის 2/3 (IX, 10).

**ბუნებრივი წყობა იქნებოდა: მოსახლეობის დაახლოებით 2/3.**

სიტყვათა ბუნებრივი რიგის დარღვევა განსაკუთრებით ხშირია რთულ წინადადებაში:

...50-იან წლებში შემოთავაზებული იქნა მდ. ოზზე, რომელიც მოედინება დასავლეთ ციმბირის ვაკეზე, ძალიან დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი (V, 4).

**აქ უადგილოდაა გათიშული მთავარი წინადადება. უნდა იყოს:**

**..შემოთავაზებულ იქნა... პროექტი მდ. ოზზე, რომელიც...**

მაგრამ გაზაფხული აღრიანი თუ გვიანი იქნება, მცენარეების განვითარების თანამიმდევრულობა არ ირღვევა (V, 142).

აზრის გასამართავად საჭიროა, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ერთგვაროვან წევრთა შორის მოექცეს: **...აღრიანი იქნება თუ გვიანი...**

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მოსახლეობას ემატება რუსები და სლავური ხალხის სხვა ეროვნებანი (VII, 11).

**გაუგებარია, ვის მოსახლეობას ემატება. უნდა დაეწერათ: რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს მოსახლეობას ემატება...**

ამას მოწმობს, გეოლოგიურ ფაქტებთან ერთად, აგრეთვე ის გარემოება, რომ ყირიმის სამხრეთ ნაპირზე შემორჩა... უძველესი სახეობები (VII, 53).

**წინადადების გასამართავად საჭიროა ხაზგასმული ორი მონაკვეთისათვის აღგილების შენაცვლება: გეოლოგიურ ფაქტებთან ერთად ამას მოწმობს აგრეთვე...**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყირიმის იზოლირების შემდეგ გეოლოგიური ისაქმაოდრო გასულა, რომლის განმავლობაშიც... (VII, 21).

**აჯობებდა საქმაო გეოლოგიური დრო გასულა. გეოლოგიური დრო გარკვეული ცნებაა, ტერმინია, მყარი შესიტყვებით გამოხატული, და მისი გათიშვა გამართლებული არ არის.**

აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე, მიუხედავად კავკასიონის კალთების სიახლოვისა, ნაკლები ნალექები მოდის, ვიდრე აჭარის სანაპიროზე (VII, 50).

უმჯობესი იყო წინადადება საერთოდ სხვაგვარად გამართულიყო (მიუხედავად იმისა, რომ...), მაგრამ წარმოდგენილ ვარიანტშიც აუცილებელია სიტყვათა რიგის შეცვლა: მიუხედავად კავკასიონის კალთების სიახლოვისა, აფხაზეთის...

შავი ზღვის სანაპიროზე გაშლილი მშენიერი პლაჟი გამოყენებულია, როგორც საუკეთესო დასვენებისა და გამაჯანმრთლებელი ადგილი მშრომელებისათვის (VII, 128).

უნდა გაიმართოს ასე: ...გამოყენებულია, როგორც საუკეთესო ადგილი მშრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის.

მტკვრის მარცხენა მხარეზე, რამდენიმე სერი მდლდება, ერთ-ერთ მათგანზე ამართულია (V საუკუნე) ჯვრის მონასტერი (VII, 133).

ამ წინადადებაში სიტყვათა ნორმალური რიგი დარღვეულია ფრჩხილებში მოწოდებული ცნობით. უნდა იყოს: აღმართულია ჯვრის მონასტერი (V საუკუნე).

მათ შორის ყველაზე წყალუხვია ალაზანი, რომელსაც სათავე აქვს მთაბორბალოს ძირში (VII, 59).

აჯობებდა: სათავე აქვს ბორბალოს მთის ძირში.

ისეთი სასარგებლო წიაღისეულის, როგორცაა ოქრო, ვერცხლი, მოლიბდენი, ვოლფრამი, ნიკელი, ტყვია-თუთის მადნები, მოპოვება ხშირად წარმოებს რაიონებში... (VIII<sup>2</sup>, 217).

წინადადება ასე გაიმართება: ისეთი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, როგორცაა...

ტრანსპორტის ყველა სახეობის, გარდა საავიაციოს, ტვირთნაკადებში შაქრის ლერწამს და შაქარს წამყვანი ადგილი უჭირავს (IX, 162).

უნდა გაიმართოს ან ასე: საავიაციოს გარდა, ტრანსპორტის ყველა სახეობის ტვირთნაკადებში..., ან: ტრანსპორტის ყველა სახეობის ტვირთნაკადებში, გარდა საავიაციო ტრანსპორტისა...

განსაკუთრებით ტიპობრივი ჩანს მსგავსი დარღვევები კითხვით წინადადებებში:

გაუდინარ ტბებში წყალი რატომ არის მლაშე? (V, 108).

მეცნიერები რატომ შეისწავლიან დედამიწის სიღრმეებს? (V, 45).

რა სახის სასარგებლო წიაღისეული და რატომ არის დაკავშირებული გეოსინკლინების განვითარებასთან? (VII<sup>2</sup>, 47).

ტოპოგრაფიულ და წვრილმასშტაბიან გეოგრაფიულ რუკებზე რელიეფის გამოსახვის რომელი ძირითადი ხერხები არსებობს? (VII<sup>2</sup>, 28).

ტოპოგრაფიულ რუკებზე რისთვის არის შოთაესებული ქვედებულთა სკალა? (VII<sup>2</sup>, 28).

კვების მრეწველობის რომელი საწარმოებია თქვენს ოლქში (რესპუბლიკაში)?... მათ საკავშირო თუ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ მეურნეობაში? (VIII<sup>2</sup>, 81).

რომელ გადაზიდვაშია საზღვაო ტრანსპორტის როლი დიდი? (VII<sup>12</sup>, 111).  
...გაიხსენეთ, ნათობგადასამუშავებელი მრეწველობის განლაგებისათვის. ორიენტაციის რომელი ტიპია დამახასიათებელი და რატომ? (IX, 42).

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა რას აძლევს სხვა ქვეყნებს და რას იღებს მათგან? (IX, 78).

განსაზღვრეთ მსგავსი ნიშნები კანადისა და ავსტრალიის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში. ისინი რით აიხსნებიან? (IX, 266).

ამ და მსგავსი წინადადებების გასამართავად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიექცეს ფრაზის ძირითად მოტივს და მასზე გაკეთდეს აქცენტი. ეს კი შემთხვევათა დიდ უმეტესობაში კიბხვით სიტყვას თავისი თანხლები სიტყვებითურთ მოაქცევს წინადადების თავში. გვექნება: რატომ არის წყალი მლაშე გაუდინარ ტბებში? რატომ შეისწავლიან მეცნიერები დედამიწის სიღრმეებს? რა სახის სასარგებლო წიაღისეული არის დაკავშირებული... და რატომ? რა ძირითადი ხერხები არსებობს... რუკებზე რელიეფის გამოსახვისათვის? და ა. შ.

სახელმძღვანელოებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი სტილისტიკურად გაუმართავი წინადადებებისა, რომელთაც აკლიათ რომელიმე აუცილებელი წევრი. მაგალითად:

რუსეთის დიდ მდინარეზე — ვოლგაზე აიგო მრავალი ჰიდროელექტროსადგური. მათ შორის არის ისეთი დიდები, როგორიცაა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰესი სკკპ XXII ყრილობის სახელობის ვოლგის ჰესი (V, 108).

უნდა იყოს: ...**ისეთი დიდი ელექტროსადგურები, როგორიცაა...**

1974 წელს 14 სოციალისტური სახელმწიფო ითვლებოდა (V, 168).

იგულისხმება: ...**მსოფლიოში 14...**

შუა აზიაში თურქული ხალხების გარდაცხოვრობენ ირანული ხალხები (VIII<sup>2</sup>, 20).

ნე-ტყის ხერხვა განლაგებულება (VIII<sup>2</sup>, 209).

რესპუბლიკაში აგებულია დიდი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები. ყველაზე დიდია ბერეზოვსკის, რომელიც მუშაობს უკრაინის გაზზე (VIII<sup>2</sup>, 255).  
ქერკიდევახლახან მათ მიაკუთვნებდნენ მხოლოდ ალუმინსა და მაგნიუმს (IX, 37).

რაც უფრო სწრაფად ხდებოდა ხმელეთის აწევა ზღვის ზედაპირიდან, მით მდინარისეული ეროზიაც გაცხოველებით მიმდინარეობდა (VII, 18).

ახსენით დასავლეთიდან აღმოსავლეთით მოძრაობის დროს თქვენ: საათის ჩვენება რატომ „ჩამორჩება“, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობისას „წინ წავა“ ადგილობრივ დროსთან შედარებით (VII<sup>2</sup>, 14).

მათი იდეალური სწორი ზედაპირი იმდენად მაგარია, რომ ცხენის ნალებიც მათზე კვალს ვერ აჩენს (VII<sup>2</sup>, 267).

...გაკვეთილებზე თქვენ დაწვრილებით გაეცნობით სამშობლოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ვარსის თავისებურებებს (VII<sup>2</sup>, 3).

წინადადებები უნდა გაიმართოს დაკლებული სიტყვების დამატების გზით (რა თქმა უნდა, ახალი სიტყვის დამატებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფრაზის აგებულების შეცვლა). უნდა იყოს: თურქული, ირანული წარმოშობის (მოდგმის) ხალხები..., ხერხვის (სახერხი) საწარმოები განლაგებულია..., ბერეზოვსკის ელექტროსადგური, რომელიც..., ჭერ კიდევ სულ ახლახან..., ...მით უფრო გაცხოველებით მიმდინარეობდა მდინარისეული..., მოძრაობისას რატომ „წვაა წინ“..., ნალებიც კი მათზე..., გაეცნობით თქვენი სამშობლოს ტერიტორიაზე...

არანაკლებ ვნებს წინადადებას ზედმეტი, არასაჭირო წევრი. ასეთი შემთხვევებიც გვხვდება გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში:

ადამიანს დღე-ღამეში დაახლოებით 11 ათასი ლიტრი პაერი სჭირდება. მოცულობით ეს თითქმის რკინიგზის მთელი ცისტერნა (V, 118).

ფიზიკური გეოგრაფიისა და ისტორიის თქვენს ცოდნაზე დაყრდნობით პირობები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვაგვარია (VIII<sup>2</sup>, 4).

განმაზოგადებული გამეორება ნაწილის „სსრ კავშირის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა“ მიხედვით (VIII<sup>2</sup>, 117).

თუმცა რაიონის ფართობი შედარებით მცირეა..., მაგრამ მასზე შეიძლება მოთავსებულიყო ინგლისი, ბელგია, დანია და შვეიცარია ერთად აღებული (VIII<sup>2</sup>, 179).

...არსებობს ღრმა წინააღმდეგობა ქვეყნებისა და ერების სამეურნეო დაახლოების თავისი ბუნებით პროგრესულ ტენდენციებსა და მისი პრაქტიკული განხორციელების იძულებით მეთოდებს შორის (IX, 32).

ჩინეთის აღმ. ნაწილის ცენტრში მდებარეობს ქალაქი უხანი. ის წინათაც გამოირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადაშეშავებით, ხოლო 50-იან წლებში აგრეთვე გახდა მძიმე მრეწველობის ცენტრი (IX, 147).

ამგვარი ზედმეტსიტყვაობის გარდა სახელმძღვანელოებში ხშირად გვხვდება ლექსიკური ტავტოლოგიები, რომლებიც უმეტესად ამძიმებენ აზრს ან ხელს უშლიან მის მართებულ გაგებას:

მაგრამ რადგანაც ამ სიღრმეზე ზევით მდებარე ქანების გამო წნევა ძალიან დილა, ყველა ნივთიერება მყარ მდგომარეობაში რჩება. მაგრამ როგორც კი დედამიწის ქერქში გაჩნდება ნაპრალი, რომელიც დედამიწის ზედაპირისაყენ არის მიმართული, სიღრმეში წნევა მკვეთრად ეცემა და ქვიანი ნივთიერებანი თხევადდება და ზევით მისწრაფის (V, 47).

მცხუნვარე მზის სხივებისაგან ქანები თბება, ხოლო თქვენ უკვე იცით, რომ გათბობისაგან საგნები ფართოვდება, ხოლო ღამით, პირიქით, ძლიერ ცივდება (V, 63).

ამჟამად მთელ დედამიწაზე მოწყობილია ასობით ათასი ჭაბურღილი, რომლებითაც იღებენ ვენათშორის წყალს, რომლის რაოდენობა ზოგიერთ რაიონში წლით-წლით მცირდება (V, 98).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა (VII, 11).

თოვლი გაზაფხულობით სწრაფად დნება და გაზაფხულის წყლები ადვილად გადაიტყვავს ლიოსისებრ ქანებს და ხრამებს აჩენს (VII<sup>2</sup>, 124).

მათ მნიშვნელოვანი დახრილობა და სწრაფი დინება აქვთ. ალაგ-ალაგ მათ გაუქრია ვიწრო ხეხვი (VII<sup>2</sup>, 211).



სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოებამ გამოიწვია რაიონში ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ემსახურებოდა მის გარშემო მყოფ... ტერიტორიებს, რომლებიც გახდნენ მისი სანდღლეულო დანამატები (VIII<sup>2</sup>, 131).

ყარაყუმის უღბანო მდებარეობს კასპიის ზღვასა და ამუდარიის ქვემო დინებას შორის, რომელმაც დიდი ხანია რაც შეწყვიტა დინება კასპიის ზღვისაკენ (VIII<sup>2</sup>, 266).

კანადა და ავსტრალია დიდი ბრიტანეთის დომინიონებია, რომლებიც შედიან „თანამეგობრობაში“, რომლის სათავეში დიდი ბრიტანეთი დგას (IX, 266).

სახელმძღვანელო სრავალი დავალება თქვენგან მოითხოვს იმ სტატისტიკურ ცხრილებზე მუშაობას, რომლებიც ერთვის სახელმძღვანელოს (IX, 5).

რუკების მიხედვით იტალია შეადარეთ დიდ ბრიტანეთს... ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის მიხედვით და დასაქმებულობის სტრუქტურის მხრივ (IX, 250).

შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც თვალს ხვდება მორფოლოგიური ტავტოლოგიები.

პატარა გემებით გახედული ადამიანები წყლით მოგზაურობდნენ და სხვა ქვეყნებს აღწევდნენ (V, 5).

ქალაქ ბათუმთან სახმელეთო საზღვარი თურქეთთან ზღვიდან მიემართება აღმოსავლეთით... კასპიის ზღვის ნაპირებთან ირანთან საზღვარი გადაკვეთს ამ ზღვას (VII<sup>2</sup>, 9).

ასეთ საგუშაგოებზე აწარმოებენ განუწყვეტელ დაკვირვებას. მდინარის მდგომარეობაზე (VII<sup>2</sup>, 96).

...ტერიტორიული დაგეგმვის დროს ყოველი ახალი წარმოებისათვის არჩევენ მისი განვითარებისათვის ყველაზე კარგი პირობების მქონე რაიონებს (VIII<sup>2</sup>, 122).

საკლიებს... აქვთ ბრტყელი სახურავები და განლაგებულია ერთიმეორეზე კალთებზე (VIII<sup>2</sup>, 180).

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მატერიალური წარმოების სტრუქტურაში ყველაზე უფრო სწრაფად ძვრა მდგომარეობს მრეწველობის ხვედრითი წონის შემდგომ გადიდებაში (IX, 35) და მისთ.

სახელმძღვანელოებში გვხვდება სხვა სახის ენობრივი დარღვევებიც, მაგრამ ზოგ მათგანს არ შეეხებოდა იმიტომ, რომ კერძო ხასიათი აქვს (ეთქვათ, რომელიმე ერთ ან ორ წიგნს ეხება, სხვაგან კი ეს საკითხები მოწესრიგებულია), ზოგ მათგანზე კი ვერ შევჩერდებით იმიტომ, რომ გარკვეული ტიპის ენობრივი ხარვეზების დასაბუთება ტექნიკურად არის მოუხერხებელი. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როცა მსჯელობის შინაარსს არ ეთანხმება აბზაცთა გამოყოფა — უადგილო ადგილას აბზაცით იწყება მსჯელობა მაშინ, როცა მასში გადმოცემული ამბავი ლოგიკურად მსჯელობის გაგრძელებას მოითხოვს. ასეთი შემთხვევებიც ცოტა როდია წიგნებში, მაგრამ მათი ილუსტრირება დიდ ადგილს საჭიროებს. სანიმუშოდ ორიოდ ილუსტრაციით დავემყოფილებით:

სსრ კავშირი მდიდარია წყლის რესურსებით.

მაგრამ მათი გამოყენება გაძნელებულია ქვეყნის ტერიტორიაზე მათი არათანაბარი განაწილების გამო (VII<sup>2</sup>, 129).

ტუნდრიან და ტყეტუნდრიან ჩრდილო-აღმოსავლეთს უკავია... რუსეთის ვაკის ზღვისპირა ტერიტორია.

აქ შედის ბოლშეშემელსკაია და მალოზემელსკაია ტუნდრები (VII<sup>2</sup>, 148).

მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ აღნიშნული სახელმძღვანელოების ზოგ ენობრივ ხარვეზზე, რომლებიც ამრავლებენ წიგნებში მანკიერ, გაუმართავ, ძნელად აღსაქმელ ან ზოგჯერ საერთოდ გაუგებარ წინადადებებს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, დაშტამპული, კანცენლარიული სტილით შედგენილი წინადადებები, რომლებიც სრულიად შეუფერებელია სახელმძღვანელოს ენისათვის. მაგალითად:

ამ ჭვადის ქვეყნებში სიკვდილიანობასტაბილიზდება და მეტად დაბალ დონეზე (IX, 16).

სოციალისტური საზოგადოების მიზანი — სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაეცეით ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად — ყოველწლიურად უახლოვდება გააქრას (VIII<sup>2</sup>, 22).

საქართველოს ტყეებში გაბატონებული ადგილი (77%) უკავია ფოთლოვანებს (VIII, 17).

საქართველოს მემინდერეობაში საპატიო ადგილი ირგუნეს მაღალშემოსავლიანმა ტექნიკურმა კულტურებმა (VIII, 54).

ასეთი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი ნედლეულის მიღების... ფართო შესაძლებლობებს (VIII<sup>2</sup>, 248).

...უკანასკნელ ხანებში ნავთობის რესურსები უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოპოვებას (IX, 107).

საკუთარი რძის პროდუქტებით კმაყოფილდება საქართველოს მოთხოვნილებების მხოლოდ ნაწილი, დანარჩენი კი სხვა რესპუბლიკიდან შემოაქვთ (VIII, 59).

საქართველოს ხილით კმაყოფილდება არა მარტო ადგილობრივი მოთხოვნილება, არამედ იგი მოძმე რესპუბლიკებშიც იგზავნება (VIII, 52).

უკანასკნელი წინადადებებიდან ზუსტად არ ჩანს, რა შემოაქვთ სხვა რესპუბლიკებიდან და რა იგზავნება მოძმე რესპუბლიკებში (მოთხოვნილება, რძის პროდუქტები თუ ხილი).

საერთოდ აჯობებდა სახელმძღვანელოებში ნაკლები ყოფილიყო ინფორმაციებით გადატვირთული წინადადებები. ამისთვის თავის არიდება კი შეიძლებოდა წინადადებათა გამრავლების (რთული და ზერათული წინადადებების დანაწევრების) გზით. მაგალითად, ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში მოთავსებული აზრი რომ ორ-სამ წინადადებაზე განაწილებულიყო, ამით სახელმძღვანელო მხოლოდ მოიგებდა:

ყოფილი ტყის მკვდარი საფარის ქვეშ წარმოქმნილი მკავა ხელს უწყობდა ნეშომპალას მეტ ხსნადობას და ამის გამო მინერალური ნაწილების ძლიერ გამორეცხვას და წარმოშობილი ხსნადი მარილების ნიადაგის ზედა ფენებიდან ქვედა ფენებში ჩარეცხვას (VII, 70).

წინადადებათა გამრავლების გარდა მსგავს შემთხვევებში საჭიროა

ზმნის პირიანი ფორმების გამოყენება სახელმწიფოს ნაცვლად და ზოგჯერ სხვა მანიპულაციაც. ამგვარი წინადადებების გააზრება და დამახსოვრება ძნელია არა იმიტომ, რომ მასში ჩაქსოვილი, მისით მოწოდებული აზრია ღრმა, არამედ იმიტომ, რომ წინადადება რთულად აგებული. ამიტომაც ის ცუდი, არაემოციური და, მაშასადამე, სახელმძღვანელოსთვის შეუფერებელი. ემოციურ დატვირთვას, ემოციურ აქცენტს წინადადებებისას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის ასათვისებლად. სანიმუშოდ ერთ შემთხვევას დავიმოწმებთ. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ასეთი მსჯელობაა:

დელამიწა არასოდეს არ არის დამწვნიებული და განუწყვეტლივ ირხევა, მაგრამ ჩვენითვის შესამჩნევია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. სპეციალური ხელსაწყოების — სენსომოგრაფების საშუალებით შესაძლებელია სუსტი მიწისძვრების აღნუსხვა. მიწისძვრების შესწავლას სენსომოლოგები ეწევიან (VII, 22).

ამ აბზაცში სამი წინადადებაა, სამი დამთავრებული აზრია, მაგრამ სამივე ისეთი მშრალია, იმდენად უსახური, რომ საერთოდ, აბზაცით მოწოდებული ცნობების სიმარტივის მიუხედავად, მისი ერთბაშად აღქმა თითქოს ძნელია. საქმეს კი მნიშვნელოვნად გამოასწორებდა უმარტივესი ნაწილაკის მიმატება მეორე წინადადების ბოლოს (...**შესაძლებელია სუსტი მიწისძვრების აღნუსხვაც კი**). ეს უბრალო შესწორება, ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ ამ სამ წინადადებას შორის ლოგიკურ კავშირს უფრო ნათელს ხდის, ამავე დროს ემოციურობასაც მატებს მთელ აბზაცს.

არანაკლებ ვნებს სახელმძღვანელოების ენას ასაკისათვის შეუფერებელი მსჯელობა და წინადადებები. სანიმუშოდ მხოლოდ ერთ ადგილს დავიმოწმებთ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოდან:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიის გადაწყვეტილებით ქ. შარპვეილსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვა ქალაქებში 1960 წ. აფრიკელთა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვედრის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად ყოველწლიურად 21 მარტს ტარდება რასისტული დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე. 1965 წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლემ მიიღო საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. კონვენცია დანაშაულად აცხადებს „რასობრივ უპირატესობაზე ან სიძულვილზე დაფუძნებული იდეების ყოველგვარ გავრცელებას, რასობრივი დისკრიმინაციისაქენ ყოველნაირ წამქეზებლობას“ (166).

სადავო არ უნდა იყოს, რომ ვერც ერთი 10—11 წლის მოზარდი ვერ მოახერხებს ამ მსჯელობის ადვილად დამახსოვრებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ამ ტიპის „სირთულეს“, სულ ცოტა, ორგვარი ზიანი მოაქვს მოსწავლისათვის. უპირველეს ყოვლისა, მას უჭირს მასალის ათვისება, საგნის შესწავლა და, მეორეც (ეგებ უფრო მნიშვნელოვანი) ის, რომ აღნიშნულმა „სირთულეებმა“ მოსწავლეს შეიძლება დაუკარგოს რწმენა სა-

კუთარი შესაძლებლობებისა და ამის გამო ის საერთოდ უინტერესო, უგულისყურო გახადოს.

ამიტომაც არის აუცილებელი, რომ მეთოდოლოგიურად და შინაარსობრივად სწორად შედგენილი ქართული სკოლის სახელმძღვანელოები ენობრივადაც გამართული და მოწესრიგებული იყოს.